საერთაშორისო სავალუტო ფონდი
აშშ, კოლუმბიის ოლქი, ქ. ვაშინგტონი 20431

პრეს-რელიზი
ექვემდებარება დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას
26 ნოემბერი, 2014

საქართველოში საერთაშორიო სავალუტო ფონდის მისიის განაცხადი

მისიის დასრულებისას გამოქვეყნებული პრეს-რელიზი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის განაცხადს, რომელშიც წარმოდგენილია ქვეყანაში ვიზიტისას გაკეთებული წინასწარი მიგნებები. წინამდებარე განაცხადში ასახული მოსაზრებები შეიძლება არ წარმოადგენდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მოსაზრებებს. ამ მისიის წინასწარი მიგნებების საფუძველზე ორგანიზაციის თანამშრომლებმა მოამზადეს ანგარიში, რომელიც უწყების ხელმძღვანელობის დამტკიცების შემთხვევაში წარედგინება საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს განხილვების გასამართად და გადაწყვეტილების მისაღებად.

2014 წლის 15-28 ოქტომბერს თბილისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ეწვია. ვიზიტი მიზნად ისახავდა 'სარეზერვო დაფინანსების მექანიზმის' პირველი მიმოხილვის ფარგლებში დისკუსიების გამართვას. ხსენებული პროგრამა 2014 წლის 30 ივნისს დამტკიცდა, 36 თვე გაგრძელდება და 100 მილიონი სპეციალური სესხების უფლების (დაახლოებით 154 მილიონი აშშ დოლარი) გამოყოფას ითვალისწინებს. (იხილეთ პრეს-რელიზი N14/377).

2014 წლის 26 ნოემბერს, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის უფროსმა მარკ გრიფიტსმა პრესისთვის შემდეგი განაცხადი გააკეთა:

„საქართველოს ხელისუფლებასთან გასულ თვეს გამართული დისკუსიების შედეგად, საქართველოს საკითხებზე მომუშავე ეკონომისტების დონეზე, მივაღწიეთ შეთანხმებას - ქვეყნის მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამის ძირითად ელემენტებზე. პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი მოწმობს, რომ მთავრობა მტკიცე ვალდებულებას კისრულობს მომდევრო წლის საბიუჯეტო დეფიციტი შეზღუდოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3 პროცენტამდე. ხელისუფლება კისრულობს ვალდებულებას გაატაროს სტრუქტურული რეფორმები, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად გააძლიეროს ქვეყნის წარმატებული, ინფლაციის ტარგეტირებაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკა და გაცვლითი კურსის მოქნილობა, რათა შენარჩუნდეს სავალუტო რეზერვების ძლიერი პოზიცია.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია რეკომენდაციას უწევს პროგრამის პირველი მიმოხილვის დასრულებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობის მიერ დადებითი შეფასების შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს სხდომა საქართველოს პროგრამის განსახილველად მიმდინარე წლის დეკემბერში შედგება.

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამა წარმატებულია. მიმდინარე წელს ეკონომიკური ზრდა 5 პროცენტს მიაღწევს, რადგან ეკონომიკური აქტივობა გამოცოცხლდა 2013 წლის შენელების შემდეგ. ეკონომიკის მამოძრავებელი იყო მოხმარების, კერძო ინვესტიციებისა და ექსპორტის ზრდა. გეოპოლიტიკური დაძაბულობის ეკონომიკური გავლენა აქამდე შეზღუდული იყო, რადგან საქართველოს მზარდი (თუმცა კვლავ შეზღუდული) სავაჭრო კავშირები გააჩნია რუსეთთან. ამავდროულად გაიზარდა ფიზიკური პირების ფულადი ტრანსფერები სამხრეთ ევროპიდან. სსფ-ს პროგრამით სექტემბრის ბოლოსთვის განსაზღვრული რაოდენობრივი მაჩვენებლები შესრულებულია. დაყოვნდა მხოლოდ 'ფინანსურ რესურსებზე წვდომის' კვლევის ჩატარება (მოსალოდნელი იყო სექტემბრის ბოლოსთვის), რათა მასში გათვალისწინებული იქნეს მსოფლიო ბანკისა და გერმანიის განვითარების ბანკის მოსაზრებები. კომპლექსური კვლევა დასრულდება 2015 წელს.

მისიის პროგნოზით, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2015 წელსაც 5 პროცენტით გაიზრდება. ამ პროგნოზს ახლავს რისკები, რომელთა შესაძლო მატერიალიზება პროგნოზის დაღმავალ კორექტირებას გამოიწვევს. რეგიონული დაძაბულობის ესკალაციამ ან ევრო ზონის ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპით უკმაყოფილებამ შეიძლება შეასუსტოს ინვესტიციების შემოდინება და ვაჭრობა. თუმცა, არსებობს ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მქონე პოტენციური ფაქტორებიც: ნავთობზე ფასების ბოლოდროინდელი კლება თუ შენარჩუნდა, მივიღებთ ზრდის უფრო მაღალ მაჩვენებელს და მიმდინარე ანგარიშის ნაკლებ დეფიციტს.

ინფლაცია კვლავ ჩამორჩება საქართველოს ეროვნული ბანკის 6 პროცენტიან სამიზნე ორიენტირს. მიუხედავად სურსათზე ფასის ზრდისა, მიმდინარე წელს ლარის გამყარება და საერთაშორისო სასაქონლო ფასების კლება, სავარაუდოდ, ინფლაციის დაბალ ნიშნულზე შენარჩუნებას გამოიწვევს. ამდენად, მისიას მიაჩნია, რომ მონეტარული პოლიტიკა ადექვატურია. ინფლაცია 2014 წლის ბოლოსთვის სავადაუდოდ 4 პროცენტზე ნაკლები იქნება, ხოლო 2015 წლის

ბოლოსთვის 5 პროცენტს მიუახლოვდება. მისია იწონებს საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმას გამოაქვეყნოს ინფლაციის ყოველკვარტალური ანგარიშები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით და 2015 წლიდან სისტემატიურად ჩაატაროს პრეს-კონფერენციები.

მისიის პროგნოზით მიმდინარე წლის საბიუჯეტო დეფიციტი ნაკლები იქნება პროგრამით გათვალისწინებულ, მშპ-ს 3.7 პროცენტიან გეგმასთან შედარებით. ფაქტიური საგადასახადო შემოსავლები გადააჭარბებს სსფ-ს პროგრამის საპროგნოზო მაჩვენებლებს. მთლიანობაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეესაბამება პროგნოზს, თუმცა ხარჯების სტრუქტურაში შეინიშნება აქცენტების გადანაცვლება კაპიტალურიდან მიმდინარესკენ, რაც პროექტების შეფასებისა და შესყიდვების პროცედურების გაძლიერების საჭიროებაზე მეტყველებს.

2015 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში მითითებული მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტიანი დეფიციტი ადასტურებს საქართველოს მიერ პროგრამის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებას. სსფ-ს პროგრამა მიზნად ისახავს 2017 წლისთვის დეფიციტის მაჩვენებლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2½ პროცენტამდე შემცირებას რათა გაგრძელდეს სახელმწიფო ვალის კლება მშპ-სთან შედარებით და წახალისდეს ქვეყნის საგარეო პოზიციის კორექტირება.

საქართველოს მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი და საგარეო ვალი კვლავ ძირითად სისუსტედ მიიჩნევა. მიმდინარე წელს ზრდის შემდგომ, 2015 წლიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა უნდა კლება დაიწყოს, რასაც ხელს შეუწყობს ფისკალური კონსოლიდაცია, გაცვლითი კურსის გაზრდილი მოქნილობა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმები და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით შექმნილი შესაძლებლობები. ხელისუფლება კვლავ უზრუნველყოფს ლარის თავისუფალ მცურავ რეჟიმს საბზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისად, რათა შენარჩუნდეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და გაძლიერდეს მის ეკონომიკაში გარე შოკებისადმი მედეგობა.

მისიას სურს მადლობა გადაუხადოს ქვეყნის მთავრობის, საქართველოს ეროვნულ ბანკის, განვითარების პარტნიორებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს ვიზიტის განმავლობაში შეხვედრებისას ღია და კონსტრუქციული დიალოგისთვის.“